



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

22 აგვისტო 2024



N 462/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში შპს „როუდ ლაინის“ ნარჩენების (მეორადი საბურავები) აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „როუდ ლაინის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში ნარჩენების (მეორადი საბურავები) აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „როუდ ლაინის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2024 წლის 20 ივნისს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №090349 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მეორადი საბურავების აღდგენის საწარმო მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 4422 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.03.13.067) განთავსებულ შენობა-ნაგებობაში. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-478790, Y-4645847; X-478861, Y-4645829; X-478775, Y-4645790; X-478843, Y-4645773. მეორადი საბურავების აღდგენისათვის განკუთვნილი ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია წლიურად 800-1000 ცალი მეორადი საბურავის (კოდები: 16 01 03 – განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები) აღდგენა, რისთვისაც არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია შემდეგი დანადგარ-მექანიზმები: საბურავების სახეხი დანადგარი; ორი ცალი პროტექტორის დასაკრავი დანადგარი; ორმხრივი მონორელსი; ელექტრო მართვის ფარი; 2 ცალი საბურავების გამოსაცხობი ავტოკლავი; ავტოკლავში საბურავების შეტანა-გამოტანის სისტემა; 3 ცალი ე.წ. „სკივინგის დანადგარი“; ღრმულების შესავსები დანადგარი; წებოს წასასმელი დანადგარი; 100 ცალი კაუჭი, საბურავების ავტოკლავში შესატანად; 60 ცალი მონორელსის კაუჭი; დამტვირთავი ფოლადის რგოლი; წებოს შემრევი (მიქსერი); 4 ცალი საბურავების ინსპექტირების დანადგარი; ნახეხი მტვრის ვაკუუმ მტვერსასრუტი; 2 ცალი თხევადი რეზინის პნევმატური მოწყობილობა; ჰაერის სისტემური კომპრესორი; მტვრის შემგროვებელი სისტემა (ბუნკერი); აღდგენილი საბურავის წნევის ქვეშ ტესტირების სისტემა. ობიექტზე გათვალისწინებული საქმიანობა შეესაბამება „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I დანართით განსაზღვრული აღდგენის ოპერაციების შემდეგ კოდს: R12 – ნარჩენების გაცვლა R1-დან R11-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად. საწარმოს სამუშაო რეჟიმი შეადგენს თვეში 15 დღეს, დღე-ღამეში 8 საათს და დასაქმებულია 3 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ობიექტზე მეორადი საბურავების აღდგენა გათვალისწინებულია „ცივი მეთოდით“. საწყის ეტაპზე საბურავები მოწმდება ვიზუალურად და უტარდება მარტივი კომპიუტერული ტესტირება შემდგომი გამოყენებისთვის ვარგისიანობის დასადგენად. ტესტირების შემდეგ, მექანიკური სახეები დანადგარის საშუალებით, ხდება საბურავის ზედაპირის მოხეხვა, რა დროსაც შესაძლოა წარმოიქმნას მცირე რაოდენობით რეზინის ანაფხეკი ნაწილაკები. იმ შემთხვევაში თუ საბურავის ზედაპირის გარკვეული ნაწილი დაზიანებულია (გახვრეტილი, გახეთქილი და ა.შ), მათი შევსება ხდება ხელით, თხევადი რეზინის საშუალებით, რის შემდგომაც დამუშავებულ საბურავს, მექანიკური დანადგარის მეშვეობით, გარშემო ეკვრება ახალი პროტექტორი. იმისათვის, რომ საბურავზე გადაკრული პროტექტორი და საბურავის კარკასი ერთიანი და მონოლითური გახდეს, ცხელდება სპეციალურ გამაცხელებელ დანადგარში (ავტოკლავში), რომელიც მუშაობს ელექტროენერგიაზე და 4 საათის განმავლობაში მასში შესაძლებელია 18 საბურავის ერთდროულად გაცხელება. ავტოკლავიდან გამოსული საბურავები მზადაა შემდგომი გამოყენებისთვის. საწარმოში საბურავების აღდგენისათვის საჭირო მასალა (თხევადი რეზინი, პროტექტორები და სხვა) შეიზიდება მზა სახით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე საწარმოო დანიშნულებით წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები დაერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მეორადი საბურავების ზედაპირის მოხეხვისას წარმოიქმნება მცირე რაოდენობით რეზინის ანაფხეკი ნაწილაკები, რომლებიც გროვდება სპეციალურ, ჰერმეტიკულად დახურულ ავზში. აღსანიშნავია, რომ მეორადი საბურავების მოხეხვისათვის გათვალისწინებული დანადგარი წარმოადგენს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს, რომლის მიერ წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების რაოდენობა მცირეა და არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყაროებია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დანადგარები ხასიათდება ხმაურის დაბალი დონით და განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში, ობიექტის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტზე მეორადი საბურავების მოხეხვის დროს მოსალოდნელია დაახლოებით 500 კგ-მდე ნარჩენის წარმოქმნა (კოდი: 16 07 99 – ნარჩენები, რომლებიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), რომლის მართვაც განხორციელდება „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნარჩენების აღდგენის საწარმო განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში არსებულ შენობა-ნაგებობაში. შესაბამისად, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში შპს „როუდ ლაინის“ ნარჩენების (მეორადი საბურავები) აღდგენის საწარმოს ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „როუდ ლაინი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „როუდ ლაინს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „როუდ ლაინის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/462-21-4-202408221743>

